ოქმი:**ო63. 6323219001**
თარიღი:**07/08/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის საპროცედურო და

სამანდატო საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N28

ქ. სამტრედია. 01 აგვისტო,

2023 წელი.

მიმდინარე წლის 01 აგვისტოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ მაია ტალაბაძის თავმჯდომარეობით ჩატარდა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: მაია ტალაბაძე, ლიზა კრავეიშვილი, მერაბ უღრელიძე, პაატა კოხრეიძე,დავით ნიკოლეიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1.,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 3 ივლისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: მ. ტალაბაძე/

2.,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 4 აგვისტოს N14 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

/მომხსენებელი: მ. ტალაბაძე/

3.,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მომსახურეებისათვის გახკუთვნილ კორპორაციულ ნომრებზე სააბონენტო გადასახადის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის Nგ-632135728 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: მ. ტალაბაძე/

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (6) ექვსი ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა (6) ექვსი ხმით, დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მაია ტალაბაძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 3 ივლისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა განმარტა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 130-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის №340 დადგენილების თანახმად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტი, თავისი კომპეტენციის შესაბამისად, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი ზედამხედველობის განხორციელების ხელშეწყობას. ზემოაღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ განხორციელდა „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 3 ივლისის №14 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზა, რა დროსაც გამოვლინდა შემდეგი ხარვეზი: განსახილველი დადგენილება გამოცემულია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ძირითადი პრინციპების დაცვის გარეშე. კერძოდ, უგულებელყოფილია კანონის მე-16 და მე-18 მუხლების შემდეგი მოთხოვნები: განსახილველი დადგენილება არ შეიცავს პრეამბულას, ძირითად ნაწილსა და დასკვნით დებულებებს, ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის თარიღს, დადგენილების სახელწოდება არ არის სრულყოფილი. ამდენად, №14 დადგენილება საჭიროებს შემდგომ გადამუშავებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ზემოაღნიშნული შენიშვნებიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სამართლებრივი საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აუცილებელია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 132-ე მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

კომისიის წევრებმა იმსჯელა ზემოაღნიშნულზე და

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა (6) ხმით, მიიღო გადაწყვეტილება, რომ საკითხი საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მაია ტალაბაძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი .,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 4 აგვისტოს N14 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის საკითხების გადაწყვეტისათვის არ არის აუცილებელი ქონების განკარგვის კომისია. ქონების განკარგვის საკითხები გადაწყდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებული წინადადებებით და დასკვნებით. მუნიციპალიტეტი ასევე ხელმძღვანელობს ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით. დახართი: ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის

წესის დამტკიცების შესახებ” სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 4 აგვისტოს №14 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე’’ დადგენილება (პროექტი).

კომისიის წევრებმა იმსჯელა ზემოაღნიშნულზე და

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა (6) ხმით, მიიღო გადაწყვეტილება, რომ ძალადაკარგულად გამოცხადდეს „,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 4 აგვისტოს N14 დადგენილება.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მაია ტალაბაძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი .,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მომსახურეებისათვის განკუთვნილ კორპორაციულ ნომრებზე სააბონენტო გადასახადის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის Nგ-632135728 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მაია ტალაბაძე - მოგახსენებთ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 22 აგვისტოს N ბ63.63222344 ბრძანებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფროსი სპეციალისტის, საორგანიზაციო საკითხებში, დანიშვნის შესახებ, დაინაიშნა, საკრებულოს აპარატის, მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტად, საორგანიზაციო საკითხებში,ბეჟან გოგია. განხორციელებული ცვლილების გამო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მომსამსახურეებისათვის განკუთვნილ კორპორაციულ ნომრებზე სააბონენტო გადასახადის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის Nგ-63. 632135728 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, საჭიროებს ცვლილების შეტანას. კერძოდ; დანართი N2-ში უნდა დაემატოს, ბეჟან გოგიას ტელეფონის ნომერი.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა (6) ხმით, მიიღო გადაწყვეტილება, რომ საკითხი საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

მაია ტალაბაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
იურიდიული, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია-
იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი